KA021792709005919

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-7272 30 / დეკემბერი / 2019 წ.

ბაღდათის რაიონში, სოფელ ვარციხეში მდებარე 73500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1-N26 შენობა-ნაგებობების, აგრეთვე ამავე უძრავ ქონებაში განთავსებული N1 დანართში მითითებული მოძრავი ნივთების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ

”სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, ,,სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების, ,,სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების და "სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბაღდათის რაიონში, სოფელ ვარციხეში მდებარე 73500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1-N26 შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი N30.03.31.031), აგრეთვე ამავე უძრავ ქონებაში განთავსებული № 1 დანართში მითითებული მოძრავი ნივთების პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 1 370 000 ლარის ოდენობით.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი

უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 685 000 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 5 000 ლარით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე ტურისტული ცენტრის (რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) ალკოჰოლური სასმელების საჩვენებელ/საგამოფენო სივრცე(ებ)ს/დარბაზ(ებ)ს, რეკრეაციულ სივრცეს/მრავალწლიან ნარგავებს, სავალ ბილიკ(ებ)ს, გამწვანებას, გარე განათებას, ბუნებრივ ან/და ხელოვნურ საფარიან სპორტულ მოედანს/ მოედნებს, სველ წერტილ(ებ)ს, საპრივატიზებო ქონებიდან შენობა-ნაგებობა №1-ში არაუმეტეს 6 ნომრიანი სასტუმროს მოწყობას) შექმნა (რაც ასევე შესაძლოა მოიცავდეს გადაცემული უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შესაბამისი კომპეტენტური ორგანო(ები)ს თანხმობით განხორციელებულ დემონტაჟს), კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტურისტული ცენტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა მისი შექმნიდან არანაკლებ 10 (ათი) წლის განმავლობაში;

დ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება;

ე) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრულ ტურისტულ ცენტრში არანაკლებ 20 (ოცი) ადამიანის დასაქმება, არანაკლებ 2 (ორი) წლის ვადით;

ვ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობის თაობაზე ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულების გაფორმება;

ზ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე საცხოვრებელი სახლ(ებ)ის მშენებლობა და ასევე, ქონებაზე არსებული შენობების საცხოვრებელი მიზნებისათვის გამოყენება არ უნდა განხორციელდეს.

4. მყიდველი ვალდებულია ელექტრონული აუქციონის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინოს ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო თანხის 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადას და რომელიც მისი მოქმედების პერიოდში უზრუნველყოფს ამ ბრძანების მესამე პუნქტის „ა-ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების

შესრულებას (მათ შორის, ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

5. დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

6. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქონებად.

7. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა N2) და შემდგომ, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე